სასერტიფიკატო პროგრამა

1. **პროგრამის დასახელება** – კურორტისა და სასტუმროს მენეჯმენტი **(Resort and Hotel Management).**

2. **პროგრამის მოცულობა -** 60 ECTS.

3. **პროგრამის ხანგრძლივობა** – 1 აკადემიური წელი (2 სემესტრი).

4. **პროგრამის განხორციელების ადგილი** – თსუ, ტურიზმის საერთაშორისო სკოლა (უნივერსიტეტის ქ. #2).

5. **პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა** – 15 - 25 კაცი

6. **პროგრამაში ჩართვის წინაპირობები -**
   სრული ზოგადი განათლება და ინგლისური ენის ცოდნა (მინიმუმ B დონაზე).

7. **პროგრამის ღირებულება** – 2.250 ლარი

8. **პროგრამის მიზანი**
   პროგრამა წარმოადგენს სასტუმრო და საკურორტო სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების შუალედურ საფეხურს, რომელიც ორიენტირებულია პროფესიული კომპეტენციების მოკლე ვადაში გამომუშავებაზე. მისი მიზანია სტუდენტისათვის სასტუმროს საზედამხედველო და დაბალი დონის მენეჯერული უნარ-ჩვევებისა, რიგი მენეჯერული და მარკეტინგული უნარების სწავლება, რაც შესაბამის გამოცდილებსთან ერთად, მოამზადებს სტუდენტებს სასტუმრო და საკურორტო სფეროში საქმიანობისათვის.

9. სწავლის შედეგები

საკურორტო და სასტუმრო მენეჯმენტის სერთიფიცირებულ სპეციალისტს ექნება სასტუმროს ოპერირების, საკვებისა და სასმელის მენეჯმენტის, მასპინძლობის ადმინისტრირების ცოდნა, ღრმად ჩაწვდება ამ დინამიური სფეროს მენეჯმენტისა და ოპერირების თავისებურებებს. ამასთან ერთად, მიიღებს საჭირო ცოდნას ისეთ დაკავშირებულ სფეროებში, როგორებიცაა – აღრიცხვა, ფინანსები, მარკეტინგი, კომუნიკაციები, კომპიუტერული ტექნოლოგიები და სხვ.